სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/104

ქ. თბილისი

14 აგვისტო 2020 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გიორგი ქვარცხავას მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2020 წლის 20 ივლისის საბჭოს სხდომის №83 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია"- ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მალხაზ ბერეჟიანი.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის
საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის სხდომის
ოქმი N 83

ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზირი 17
სხდომას ესწრებოდნენფაკულტეტის საბჭოს წევრები:

გიორგი ქვარცხავა, გურამ ტყემალაძე, თამარ ყანჩაველი, ელენე სორდია, ლია ამირანაშვილი, მაია კილაძე, მაია ლომიშვილი, ეკა ცქიტიშვილი, თინათინ გოგიშვილი, აკაკი გუნცაძე, ნინო ლომიძე, ეკატერინე სანაია, ილია კუნჭულია, მალხაზ ბერეჟიანი, ჩხარტიშვილი ნინო, გურგენიძე ლელა, ზურაბ ლაოშვილი, დავით მაღრაძე, ელენე სორდია.
სხდომას უძღვებოდა: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ქვარცხავა.

დღის წესრიგის შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგიები" ხელმძღვანელად წარუდგინა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი მალხაზ ბერეჟიანი.
კენჭი ეყარა საკითხს შემდეგი ფორმულირებით: ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგიები" ხელმძღვანელად დამტკიცდეს ფაკულტეტის ასოც. პროფესორი მალხაზ ბერეჟიანი.
კენჭისყრის შედეგები: დაყენებულ წინადადებას მხარი დაუჭირა საბჭოს სხდომის დამსწრე 19-ვე წევრმა, არცერთი წინააღმდეგი, არცერთმა წევრმა არ შეიკავა თავი.

დაადგინეს:

- ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგიები" ხელმძღვანელად დამტკიცდეს ფაკულტეტის ასოც. პროფესორი მალხაზ ბერეჟიანი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: / გ. ქვარცხავა/

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: / მ. კილაძე /